თამაზ გოდერძიშვილი

თარგმანები

გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2020

ანტონ ჩეხოვი

დათვი

ერთმოქმედებიანი ხუმრობა

(ეძღვნება ნ. ნ. სოლოვცოვს)

მოქმედი პირნი:

ელენა ივანოვნა პოპოვა –

ქვრივი, ახალგაზრდა სანდომიანი მემამულე

გრიგორი სტეფანოვიჩ სმირნოვი – შუახნის მემამულე

ლუკა – პოპოვას მოხუცი ლაქია

ეს ამბავი პოპოვას სახლის სასტუმრო ოთახში მოხდა.

I

(სასტუმრო. შავი ძაძებით შემოსილი პოპოვა გადიდებულ ფოტოს დასცქერის. იქვე დგას ლუკა)

ლუკა — ასე რატომ იქცევით, ქალბატონო? თავს რატომ იღუპავთ? თქვენი მოახლე და მზარეული ქალი ტყეში კენკრის საკრეფად გავიდნენ. ყოველი სულდგმული ხარობს. კატა რომ კატაა, ისიც კი სიამოვნებას ეძებს და ეზოში ჩიტებს დასდევს. თქვენ კი გამოკეტილხართ ამ ოთახში, თითქოს მონასტრის სენაკში იყოთ ჩამწყვდეული და გულს არაფერი გიხარებთ. თითქმის მთელი წელია შინიდან არ გასულხართ! ღმერთმანი, საკმარისია!

პოპოვა — არც გავალ... არასდროს!! რისთვის გავიდე? ჩემი ცხოვრება უკვე დამთავრდა. ის სამარეში წევს, მე კი ამ ოთხ კედელში დავიმარხე თავი. ორივენი გარდავიცვალეთ.

ლუკა — აბა, რას ბრძანებთ? კაცმა არც კი უნდა დაგიგდოთ ყური! ნიკოლაი მიხაილოვიჩი გარდაიცვალა; ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო; ალბათ, ღვთის ნება იყო, უფალმა განანათლოს! ღირსეულად იგლოვეთ და საკმარისია. მთელი ცხოვრება შავებში ხომ არ ივლით და იტირებთ?! მეც მომიკვდა ბებრუხუნა... მერე და რა ვქენი? მთელი თვე ვიგლოვე, დავიტირე და მორჩა. თან ხომ არ ჩავყვებოდი სამარეში? *(ამოიოხრა)* მეზობლებიც დაივიწყეთ... არც თქვენ დადიხართ სტუმრად და არც არავის ღებულობთ. მომიტევეთ, მაგრამ ღამურებივით ვცხოვრობთ, დღის სინათლეს მოკლებულები. ლივრეა თაგვებმა დამიხრეს. ამქვეყნად კარგ ხალხს რა გამოლევს, მაზრა სავსეა ბრწყინვალე საზოგადოებით. რიბლოვოში პოლკი ჩამოდგა. ისეთი ოფიცრები ჰყავთ, თვალს ვერ მოსწყვეტ. ყოველ პარასკევს მეჯლისებს მართავენ, ყოველდღე სამხედრო ორკესტრი გრიალებს... ეჰ, ჩემო მშვენიერო ქალბატონო! იმხიარულეთ და გაერთეთ, ვიდრე ასეთი ლამაზი, ახალგაზრდა და მომხიბვლელი ხართ. სილამაზე მარადიული როდია?! ათი წელიც არ გავა, თავადვე მოგინდებათ გაიკაშკაშოთ და თვალი მოსწყვიტოთ ბატონ ოფიცრებს, მაგრამ გვიან იქნება.

პოპოვა — გთხოვ, აღარასოდეს ილაპარაკო ამ თემაზე ჩემთან! შენ მაინც კარგად იცი, რომ რაც ნიკოლაი მიხაილოვიჩი გარდაიცვალა, ჩემმა ცხოვრებამ ყოველგვარი ფასი დაკარგა.

ცოცხალი გგონივარ, მაგრამ ეს მხოლოდ მირაჟია, მოჩვენება! აღთქმა მივეცი, რომ სიკვდილამდე არც შავებს გავიხდი და არც ხალხში გავალ... გესმის? დაე, იქიდან მიცქიროს და დაინახოს, როგორ მიყვარს... ვიცი, შენთვის მოულოდნელი არ იქნება, თუ გეტყვი, რომ ხშირად ჩემს მიმართ უსამართლო იყო, მკაცრიც... მღალატობდა კიდეც. მაგრამ მე მაინც კუბოს კარამდე მისი ერთგული ვიქნები და დავუმტკიცებ, რომ უკიდეგანოდ მიყვარდა და მიყვარს. დაე, იქიდან მიცქიროს და დაინახოს, რომ მე ისევ და ისევ ისეთი ვარ, როგორიც მის გარდაცვალებამდე ვიყავი.

ლუკა — ამ გულდამწვარ სიტყვებს ავჯობებს, ბაღში გაისეირნოთ; ან უბრძანოთ, ტობი ან რომელიმე სხვა ცხენი ლანდოში შეაბან და მეზობლებს ეწვიოთ.

პოპოვა — ოხ... *(ტირის)*

ლუკა — ქალბატონო... დედილო... ნუ სტირით, ღვთის გულისათვის.

პოპოვა — როგორ უყვარდა ტობი... კორჩაგინებთან და ვლასოვებთან ყოველთვის ტობიზე ამხედრებული მიდიოდა. რა მხედარი იყო! როგორ მართავდა ცხენს! აღვირს რომ მოქაჩავდა, როგორი გრაციოზულობით იძაბებოდა მისი სხეული! გახსოვს? ტობი... ტობი! უბრძანე, დღეს ტობის ნორმაზე მეტი შვრია მისცენ.

ლუკა — ბატონი ბრძანდებით! *(ზარის მკვეთრი ხმა)*

პოპოვა — *(შეკრთა)* ვინ უნდა იყოს? უთხარი, რომ არავის ვღებულობ.

ლუკა — მესმის! *(ვადის)*

II

პოპოვა — *(მარტოა. ისევ სურათს ჩააშტერდა)* მე შენ გაჩვენებ, ნიკოლას, როგორი სიყვარული და მიტევება ვიცი. ჩემი შენდამი სიყვარული ჩემთან ერთად ჩაიფერფლება, როცა ჩემი საბრალო გული ცემას შეწყვეტს. *(ცრემლმორეული იცინის)* ნუთუ არა გრცხვენია? ნუთუ სულ არა გრცხვენია, რომ შენი და მხოლოდ შენი ერთგული ცოლი, საკუთარ სხეულში ჩაკეტილა და სამარის კარამდე შენი ერთგული იქნება, შენ კი... ნუთუ სინდისი არა გქენჯნის, ბუთხუზ? მღალატობდი, მეჩხუბებოდი, კვირაობით მარტოდმარტოს მტოვებდი...

III

ლუკა — *(შემოდის. აღელვებულია)* ქალბატონო, ვიღაც გკითხულობთ. თქვენი ნახვა უნდა.

პოპოვა — არ უთხარი, ქმრის გარდაცვალების შემდეგ არავის ღებულობს-თქო?

ლუკა — ვუთხარი, მაგრამ ყურს არ მიგდებს. ძალიან საჭირო საქმე მაქვსო.

პოპოვა — ნუთუ გაუგებრად ვთქვი? არავის მი-ვი-ღებ!

ლუკა — ვუთხარი, მაგრამ... გადარეულია, ვიღაცაა... ერთი ლაზათიანად შემომიკურთხა და ძალით შემოვიდა. სასადილო ოთახში გიცდით.

პოპოვა — კარგი, კარგი... შემოვიდეს... რა უზრდელი ხალხია! *(ლუკა გადის)* რა აუტანელი ხალხია! ჩემგან რა უნდათ! რისთვის მირღვევენ მყუდროებას? *(ამოიოხრა)* მგონი, მართლა მონასტერში აღკვეცა მომიწევს... *(ჩაფიქრდა)* დიახ... დიახ... მონასტერი... მხოლოდ და მხოლოდ მონასტერი.

IV

სმირნოვი — *(შემოსვლისას ლუკას)* რეგვენო, წაუგრძელებია ენა და ლაქლაქებს... ვირი!

(პოპოვას დანახვაზე, ღირსებით) ქალბატონო, მაქვს პატივი წარმოგიდგეთ: არტილერიის გადამდგარი პორუჩიკი, მემამულე გრიგორი სტეფანოვიჩ სმირნოვი! ფრიად საჭირო საქმეზე გაწუხებთ...

პოპოვა — *(ხელს არ უწვდის)* რა გნებავთ?

სმირნოვი — თქვენს აწ გარდაცვლილ მეუღლეს, რომელსაც მქონდა პატივი და ვიცნობდი, ორი თამასუქის თანახმად აქვს ჩემი ვალი — ათას ორასი მანეთი. ვინაიდან ხვალ საადგილმამულო ბანკში კრედიტის პროცენტი უნდა გადავიხადო, გთხოვთ, დღესვე, დღესვე მომცეთ დასახელებული თანხა.

პოპოვა — ათას ორასი... რისთვის დაედო ეს ვალი?

სმირნოვი — ჩემგან შვრიას ყიდულობდა.

პოპოვა — *(ამოიოხრა. ლუკას)* ლუკა, ხომ არ დაგავიწყდა, დღეს ტობის ორი ულუფა შვრია რომ უნდა აჭამოთ? *(ლუკა გადის.*

სმირნოვს) თუ ნიკოლაი მიხაილოვიჩს თქვენი ვალი აქვს, რა თქმა უნდა, გადაგიხდით. მაგრამ უნდა მომიტევოთ, დღეს სულ არა მაქვს თავისუფალი თანხა. ზეგ ქალაქიდან ჩემი მოურავი დაბრუნდება და ვუბრძანებ, გადაგიხადონ, რაც გერგებათ. ამჟამად კი თხოვნას ვერ შეგისრულებთ... ესეც არ იყოს, ზუსტად დღეს შესრულდა შვიდი თვე, რაც ქმარი გარდამეცვალა და ისეთ ხასიათზე ვარ, სასო ისე წარმეკვეთა, რომ არავითარი სურვილი არა მაქვს, ფულთან მქონდეს საქმე.

სმირნოვი — მე კი ისეთ ხასიათზე ვარ, რომ ხვალ პროცენტები თუ არ გადავიხადე, მამულებს ამიწერენ და შიშველ-ტიტველიც დავრჩები!

პოპოვა — ფულს ზეგ მიიღებთ.

სმირნოვი — ქალბატონო, ფული ზეგ კი არა, დღეს მჭირდება!

პოპოვა — მაპატიეთ, მაგრამ დღეს ვერ გადაგიხდით.

სმირნოვი — მე კი ზეგამდე ვერ მოგიცდით.

პოპოვა — რას მიბრძანებთ, როგორ მოვიქცე, თუ ფული ახლა არ მაქვს?

სმირნოვი — და ვერ გამისტუმრებთ?

პოპოვა — ვერა.

სმირნოვი — ეს არის თქვენი ბოლო სიტყვა?

პოპოვა — უკანასკნელი.

სმირნოვი — ნამდვილად?

პოპოვა — დიახ, ნამდვილად!

სმირნოვი — უმორჩილესად გმადლობთ. *(მხრებს აიჩეჩავს)* და კიდევ უნდათ, მშვიდი და გულგრილი ვიყო!! ახლახანს გზაზე აქციზის მოხელე შემხვდა და მეკითხება: „რა ხდება, გრიგორი სტეფანოვიჩ, სულ რატომ ბრაზობთო?“ მომიტევეთ, მაგრამ როგორ არ გაბრაზდები? ფული ისე მჭირდება, ლამის თავი მოვიკლა. გუშინ სისხამ დილით გამოვემგზავრე. ყველა მოვალე მოვიარე და, შენც არ მომიკვდე, ვალი არცერთმა არ დამიბრუნა. დავიტანჯე, ძაღლივით ენაგადმოგდებული დავრბოდი, ღამე სად გავათენე, აღარც კი მახსოვს: მგონი, ვიღაც ურიის სამიკიტნოში არყის კასრის გვერდით მეძინა. ბოლოს, როგორც იქნა, მოვაღწიე აქამდე, სამოცდაათი ვერსი გამოვიარე, ვიმედოვნებდი, აქ მაინც მომცემენ-მეთქი საკუთარ ფულს... აქ კი „უხასიათოდ ვართო“, „ხასიათებით“ მიმასპინძლდებიან. მოდი და ნუ გაგიჟდები!

პოპოვა — მგონი, გასაგებად გითხარით: მოურავი დაბრუნდება თუ არა, ფულს მიიღებთ.

სმირნოვი — მე მოურავთან კი არა თქვენთან მოვედი. ამ გამოთქმისთვის ბოდიშს კი გიხდით, მაგრამ ეგ თქვენი მოურავი სულ ფეხზე მკიდია!

პოპოვა — მოწყალეო ხელმწიფევ! მაპატიეთ, ასეთ გამოთქმებსა და საუბრის ასეთ კილოს შეჩვეული არა ვარ. თქვენი ხმის გაგონებაც არ მინდა! *(სწრაფად გადის)*

V

სმირნოვი — *(მარტოა)* ამას უყურეთ! ხასიათზე არა ვარო! შვიდი თვეა ქმარი მოუკვდა! კი, მაგრამ მე ხომ უნდა გადავიხადო პროცენტები? პროცენტები უნდა გადავიხადო თუ არა? გვესმის, ბატონო, ქმარი გარდაგეცვალათ, უხასიათოდ ბრძანდებით, მოურავი სადღაც მოუსავლეთში გაემგზავრა. კი, ბატონო, გვესმის! მაგრამ მე რაღა ვქნა? მოვაჯდე საჰაერო ბუშტს და ჩემი კრედიტორებისაგან ავითესო? თუ გამოვქანდე და მაგარ კედელს თავი ვთხლიშო? გრუზდევთან მივედი — შინ არ არისო, იაროშევიჩი დამემალა, კურიცინი მაგრა შემომელანძღა და კინაღამ ფანჯრიდან ვისროლე. მაზუტოვებს ქოლერა შეყრიათ, ამას კი „ხასიათები“, თანაც გაფუჭებული. არცერთი არ მაძლევს ფულს. რატომ მერე, რატომ? იმიტომ, რომ გავათამამე; იმიტომ რომ ჩვარი და ქალაჩუნა ვარ! მეტისმეტად ველოლიავები. ოხ, დამაცადეთ! დამაცადეთ და მე თქვენ... გიჩვენებთ, ვინცა ვარ! თავს არ გაგამასხარავებინებთ! იცით, რას ვიზამ? აი, აქ დავჯდები და ფეხსაც არ მოვიცვლი, ვიდრე არ გამისტუმრებენ! ბრაზისაგან ლამის ძარღვები დამისკდეს. სულიც მეხუთება! გავცოფდი და ეგ არის! ფუი, ღმერთო ჩემო, მგონი, მართლა ცუდადა ვარ; გული მიღონდება! *(ყვირის)* ეი, ვინა ხართ მანდ?!

VI

ლუკა — *(შემოდის)* რას მიბრძანებთ?

სმირნოვი — კვასი ან წყალი მომიტანე! *(ლუკა გადის)*

ერთი ამ ქალბატონის ლოგიკას დამიხედეთ! ფული ისე მჭირდება, ლამის თავი ჩამოვიხრჩო და ეს კი იმიტომ არ მიხდის ვალს, რომ თურმე ფულზე ლაპარაკის გუნებაზე ვერ არის, ნამდვილი ქალური ლოგიკაა! აი, სწორედ ამიტომაც არც არასოდეს მყვარებია და არც ახლა მიყვარს ქალებთან საუბარი. დენთით სავსე კასრზე მირჩევნია ჯდომა ქალებთან საუბარს. ჟრუანტელი მივლის, ისე გადამრია ამ შლეიფმა! საკმარისია თვალი მოვკრა, თუნდაც შორიდან, ასეთ პოეტურ ქმნილებას, რომ ბრაზისაგან მაშინვე კრუნჩხვა მემართება! იყვირე, რამდენიც გსურს. საშველი არ არის!

VII

ლუკა — *(შემოდის. სმირნოვს წყალს მიართმევს)* ქალბატონი შეუძლოდ შეიქნა და შემოგითვალათ, ვერ მიგიღებთო.

სმირნოვი — მოუსვი აქედან! *(ლუკა ვადის)*

შეუძლოდ გამხდარან და ვერ მიგვიღებენ! ნუ მიგვიღებენ, რა! აი, აქ დავჯდები და ვიდრე ფულს არ მივიღებ, ფეხს არ მოვიცვლი. მთელი კვირა რომ იავადმყოფოს, მეც მთელი კვირა აქ ვიქნები. მთელ წელს იავადმყოფებს და მთელი წელი აქედან ფეხს არ მოვიცვლი. ჩემსას მაინც მივიღებ, დედილო! შავი ძაძებით და ჩაჩხვლეტილი ლოყებით გულს ვერ ამიჩუყებ. ვიცით, ეგეთი ლოყებიც ბევრი გვინახავს. *(ფანჯარაში გასძახებს)* სემიონ! აუშვი ცხენები, შეგვაგვიანდება! აქ ვრჩები! საჯინიბოში უბრძანე, ცხენებს შვრია დაუყარონ! *(ფანჯარას მოშორდა)* ოჰ, რა ცუდად ვარ! რა აუტანელი სიცხეა, რა ხდება? ფულს არ მაძლევენ, ღამით ცუდად მეძინა... ეს კი... ეს ძაძებიანი შლეიფიღა მაკლდა? თანაც უხასიათოდ... თავი ისე ამტკივდა, ლამის გამისკდეს. არაყი ხომ არ ვგლიჯო? მომიხდება. ეგებ, მიშველოს. მოდი, დავლევ. *(ყვირის)* ეი, მომხედეთ!

ლუკა — *(შემოდის)* რა გნებავთ?

სმირნოვი — ერთი ჭიქა არაყი მომიტანე! *(ლუკა ვადის)*

უჰ! *(დაჯდება. თავს შეათვალიერებს.)* რა დღეში ვყოფილვარ?! სულ მტვერში ვარ ამოგანგლული, ჩექმებიც ტალახში ამომისვრია, პირი არ დამიბანია, თმა არ დამივარცხნია, ჟილეტზეც ჩალა მომკრობია. არც გამიკვირდება, ქალბატონს ყაჩაღი რომ ვეგონო.

(ამოქნარებს) ჩვენში დარჩეს და, სასტუმრო ოთახში ასე შემოსვლა უზრდელობაც კია... მაგრამ არა უშავს. სტუმარი ხომ არა ვარ. კრედიტორი გახლავართ და კრედიტორს რა ეცვას, არ დაუდგენიათ.

ლუკა — *(შემოდის. არაყს მიართმევს)* თავს ძალიან ბევრის უფლებას აძლევთ, ბატონო...

სმირნოვი — *(უყვირის)* რაო?

ლუკა — არაფერი. ერთი-ორი სიტყვა ჩემთვისა ვთქვი...

სმირნოვი — ვის უბედავ?! კრინტი! შენი ხმა არ გამაგონო!

ლუკა — *(განზე)* ამას ვის გადავეკიდეთ... ეშმაკმა დალახვროს... *(ვადის)*

სმირნოვი — ისე ვარ გაბრაზებული, ლამის გავგიჟდე! ლამის მთელი ქვეყანა ნაცარტუტად ვაქციო. *(ყვირის)* ეი, ლაქია! ეი!

VIII

პოპოვა — *(შემოდის. თავდახრილი)* მოწყალეო ხელმწიფევ! რაც განმარტოებით ვცხოვრობ, მე ბედკრული, ადამიანის ხმას სრულიად გადავეჩვიე. ყვირილს კი ვეღარ ვიტან. დაბეჯითებით გთხოვთ, მყუდროებას ნუ დამირღვევთ!

სმირნოვი — ვალი გადაიხადეთ და წავალ.

პოპოვა — მგონი, სრულიად გასაგები ენით გითხარით: ამჟამად თავისუფალი ფული არა მაქვს. ზეგამდე დამაცადეთ.

სმირნოვი — მგონი მეც იმავე და გასაგები ენით გიპასუხეთ: ფული ზეგ კი არა, დღეს მჭირდება. და თუ დღეს ფულს არ მომცემთ, ხვალ თავი უნდა ჩამოვიხრჩო.

პოპოვა — უცნაურია, პირდაპირ! რა ვქნა, თუ ფული ახლა არ მაქვს?

სმირნოვი — და ახლა ვერ გადამიხდით, არა?

პოპოვა — არ შემიძლია...

სმირნოვი — მაშინ აი, აქ დავჯდები, *(ჯდება)* და მანამდე ვიჯდები, ვიდრე თანხას არ მომცემთ. ზეგაო, ამბობთ, ხომ ასეა? ძალიანაც კარგი! ზეგამდე აქ ვიჯდები. *(წამოხტა)* კი, მაგრამ პროცენტები ხომ ხვალ უნდა გადავიხადო? თუ გგონიათ, ვხუმრობ?

პოპოვა — მოწყალეო ხელმწიფევ! ნუ ყვირით! აქ საჯინიბო არ გახლავთ!

სმირნოვი — საჯინიბო რა მოსატანია? გეკითხებით: უნდა გადავიხადო თუ არა ხვალ პროცენტები?

პოპოვა — ქალებთან ურთიერთობა და თავის დაჭერა არა გცოდნიათ!

სმირნოვი — ნურას უკაცრავად... ქალებთან თავის დაჭერა ძალიანაც კარგად ვიცი!

პოპოვა — არა, არ იცით! უზრდელი და უხეში ბრძანდებით! რიგიანი და წესიერი კაცები ქალებს ასე არ ელაპარაკებიან.

სმირნოვი — საოცარია, პირდაპირ! მიბრძანეთ, როგორ გელაპარაკოთ? ფრანგულად? *(გულმოსულია, ენის მოჩლექით)* მადამ, ჟე ვუ პრი. ო, რა ბედნიერი ვარ, ვალს რომ არ მისტუმრებთ... ახ, პარდონ, თუ შეგაწუხეთ! ო, რა შესანიშნავი ამინდებია! ეგ შავი ძაძებიც როგორ გიხდებათ! *(რევერანსი)*

პოპოვა — სულელურად, უნიჭოდ და ტლანქად იქცევით.

სმირნოვი — *(აჯავრებს)* სულელურად! უნიჭოდ!! ტლანქად!!! მე არ ვიცი ქალებთან თავის დაჭერა? ქალბატონო, ჩემს ცხოვრებაში მე უფრო მეტი ქალი მინახავს, ვიდრე თქვენ — ბელურები! ქალების გამო სამჯერ დუელში გამიწვიეს, თორმეტი ქალი მივატოვე, ცხრამ კი თვითონ დამანება თავი! დიახ, იყო დრო, როცა თავს ვისულელებდი, ქალებს ველოლიავებოდი, ჩემთა ბაგეთაგან თაფლი იღვრებოდა, ფეხქვეშ ვეგებოდი, ველაქუცებოდი... მიყვარდა, ო, როგორ მიყვარდა, ვიტანჯებოდი, მთვარეს შევჩიოდი, ვდნებოდი, სიყვარულისაგან ვიყინებოდი. მიყვარდა გაშმაგებით, ვნებიანად, ერთი სიტყვით, ყოველნაირად, ეშმაკმა დალახვროს ჩემი თავი, წარმოიდგინეთ, ქალებს ემანსიპაციაზე კაჭკაჭივით ვეჭიკჭიკებოდი და ამ ჩემს ნაზ და გაშმაგებულ გრძნობებს ჩემი ქონების ნახევარზე მეტი მივაფლანგე. ახლა კი — უკაცრავად, ბოდიში, მომიტევეთ! ახლა ამას ვინღა ჭამს? ახლა ველარავინ გამაცურებს! საკმარისია! მეყოფა! შავი თვალები, ვნებიანები, ლალის ტუჩები, ჩაჩხვლეტილი ლოყები, მთვარე, ჩურჩული, ტანჯული ამოოხვრები და ხვნეშა, ეს ყველაფერი, ქალბატონო, ერთ გროშადაც აღარ მიღირს. დამსწრე საზოგადოებას, რა თქმა უნდა, არა ვგულისხმობ და ყველა ქალი, დიდიან პატარიანად, მანჭია, გრეხია, ჭორიკანა, მოძულე, შურიანი, სულით ხორცამდე მატყუარა, წვრილმანი, ამაოდ მოფუსფუსე, უმოწყალო და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულნი არიან. რაც შეეხება ამას, *(შუბლზე ხელს იკრავს)* მომიტევეთ გულახდილობა, ბელურაც კი

ჯიბეში ჩაისვამს ერთად აღებულ ყველა კაბიან ფილოსოფოსს!! შეხედავ ზოგიერთ პოეტურ ქმნილებას და თვით სიწმინდეა, ჰაეროვანი, ქალღმერთსა ჰგავს, აღტაცებათა მთელი თაიგულია. სულში ჩახედავ და ჩვეულებრივი მწვანე ნიანგია! *(სკამს ხელს დააკლებს და შემოემტვრევა)* მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, ამ ნიანგს ჰგონია, რომ მისი შედევრი, მისი პრივილეგია და მონოპოლია სწორედ ეს უნაზესი გრძნობაა – სიყვარული?! ეშმაკსაც წავუღივარ, აი, ამ ლურსმანზე თავდაყირა დამკიდეთ, თუ ქალს ვინმეს სიყვარული შეეძლოს, გოშიებისა და ფინიების გარდა. მისი სიყვარული მხოლოდ ტირილი და წუწუნია. შეყვარებული კაცი მართლა იტანჯება, თავსა სწირავს; ქალი კი მხოლოდ კაბის შლეიფს ანარნარებს და თან ცდილობს ცხვირში მაგრად ჩაგჭიდოს ხელი. საუბედუროდ, ქალი ხართ და საკუთარი მაგალითით გეცოდინებათ ქალის ბუნება. აბა, გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით: გინახავთ გულწრფელი, სანდო და ერთგული ქალი? არ გინახავთ! სანდო და ერთგული მხოლოდ მახინჯები და დედაბრები არიან! რქიან კატას ან თეთრ ყვავს უფრო ჩქარა მონახავთ, ვიდრე ერთგულ ქალს.

პოპოვა – მომიტევეთ, მაგრამ, თქვენი აზრით, ვინ არის სანდო და ერთგული სიყვარულში, მამაკაცი ხომ არა?

სმირნოვი – დიახ, მამაკაცი!

პოპოვა – მამაკაცი? *(ვაბოროტებით იცინის)* კაცია სანდო და ერთგული? ეს რა მითხარით?! *(ვაცხარდა)* ვინ მოგცათ უფლება, ასე ილაპარაკოთ? კაცები ყოფილან სანდო და ერთგულნი! რახან ასეა, მაშინ გეტყვით: ყველა მამაკაცთაგან, ვისაც ვიცნობდი და ვიცნობ, ყველაზე უკეთესი ჩემი აწ გარდაცვლილი მეუღლე იყო... მთელი ჩემი არსებითა და თავდავიწყებით მიყვარდა. მიყვარდა ისე, როგორც შეუძლია უყვარდეს ახალგაზრდა შეგნებულ ქალს. მე მას ჩემი ახალგაზრდობა, ბედნიერება, სიცოცხლე, ჩემი ქონებაც შევწირე. მხოლოდ მასზე ვფიქრობდი, მასზე ვლოცულობდი, მისით ვსულდგმულობდი და მერე? მერე... თურმე ეს ყველაზე საუკეთესო მამაკაცი ყოველ ფეხის ნაბიჯზე უსინდისოდ მატყუებდა. მისი სიკვდილის შემდეგ საყვარლებისაგან გამოგზავნილი ბარათების მთელი უზარმაზარი ყუთი ვნახე. სიცოცხლეში კი – საზარელია მოსაგონებლად – კვირაობით მარტო მტოვებდა, ჩემ თვალწინ არშიყობდა და მღალატობდა, ჩემს ფულებს ფანტავდა, მისდამი ჩემს უმწიკვლო სიყვარულს დასცინოდა. მაგრამ მიუხედავად

ყველაფრისა, მაინც ძალიან მიყვარდა და მაინც მისი ერთგული ვიყავი. უფრო მეტს გეტყვით: მოკვდა და მაინც მისი ერთგული ვარ. მე საუკუნოდ დავმარხე საკუთარი თავი ამ ოთხ კედელში და სამარის კარამდე არ გავიხდი ძაძებს...

სმირნოვი — *(ზიზღიანი სიცილი)* ძაძებს? თქვენ მე ვინა გგონივართ? კარგად ვიცი, რისთვის ჩაგიცვამთ ეგ ძაძები, ეგრეთწოდებული შავი დომინო და რატომაც დაიმარხეთ თავი ამ ოთხ კედელს შუა. აბა, სხვანაირად როგორ მოიქცეოდით? ეს ისეთი პოეტური და საიდუმლოებით მოცული საქციელია! თქვენი სახლის წინ ვინმე იუნკერი ან მოპოეტო ტიპი ეტლით რომ ჩაიქროლებს, შეხედავს თქვენ ფანჯრებს და გაიფიქრებს: „აქ ცხოვრობს იდუმალებით აღსავსე ქალბატონი, რომელმაც ქმრის სიყვარულისა და ერთგულების გამო ამ ოთხ კედელს შუა ცოცხლად დაიმარხა თავიო!“ კარგად ვიცი ეგ ოინები, ქალბატონო!

პოპოვა — *(ვაცეცხლდა)* რაო? ჩემთან ასეთ ლაპარაკს როგორა ბედავთ?

სმირნოვი — თავი კი დაიმარხეთ, მაგრამ კარგად გაპუდრულხართ?!

პოპოვა — როგორ მიბედავთ!..

სმირნოვი — ნუ მიყვირით, თუ ღმერთი გწამთ; თქვენი მოურავი კი არა ვარ. ნება მიბოძეთ, საგნებს თავისი სახელი ვუწოდო. ქალი არა ვარ. კაცებს კი პირდაპირი ლაპარაკი გვჩვევია. თუ შეიძლება, ნუ მიყვირით.

პოპოვა — მე კი არა, თქვენ ყვირით! გთხოვთ, თავი დამანებოთ!

სმირნოვი — გადამიხადეთ ვალი და თავს იმ წამსვე დაგანებებთ.

პოპოვა — ფულს ვერ მოგცემთ!

სმირნოვი — მომცემთ, მომცემთ!

პოპოვა — თუ ასეა, კაპიკსაც ვერ მიიღებთ! მომწყდით თავიდან!

სმირნოვი — საბედნიეროდ, არც თქვენი ქმარი ვარ და არც საქმრო. ამიტომაც, ძალიან გთხოვთ, თუ შეიძლება, სცენებს ნუ მიმართავთ. *(ჯდება)* ნაძალადევი ისტერიკები ძალიან მძულს!

პოპოვა — *(ბრაზით სული ეხუთება)* ეს რა ჩაიდინეთ?

სმირნოვი — ასეთი რა ვქენი?

პოპოვა — დაჯექით?

სმირნოვი — დიახ, დავჯექი.

პოპოვა — ახლავე აბრძანდით და გამეცალეთ!

სმირნოვი — ფული მომეცით და... *(ვანზე)* ოხ, რა გაბრაზებული ვარ! ლამის გავგიჟდე!

პოპოვა — თავხედებთან ლაპარაკიც არ მსურს. გაეთრიეთ აქედან! *(პაუზა)* წახვალთ თუ არა?

სმირნოვი — არა.

პოპოვა — არა?

სმირნოვი — არა!

პოპოვა — მაშ, კარგი! *(ზარს რეკს)* ლუკა! *(შემოდის ლუკა)*

IX

პოპოვა — ლუკა! გაიყვანეთ ეს ვაჟბატონი!

ლუკა — *(სმირნოვს)* ვაჟბატონო, მიბრძანდით, როცა გიბრძანებენ! რა თავს გახ...

სმირნოვი — *(აწყვეტინებს)* ჩუმად! ვის უბედავ? სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებია? ხომ არ მოგინდა ფხალივით აგზილო?

ლუკა — *(გულზე ხელს მიიკრავს)* უფალო! ღმერთო! ყოველნო წმინდანნო! *(სავარძელში ჩაესვენა)* გული! გული! რა ცუდად ვარ! სული მეხუთება!

პოპოვა — დაშა სად არის? დაშა! *(ყვირის)* დაშა! პელაგია! დაშა! *(ზარს რეკს)*

ლუკა — ყველანი კენკრის საკრეფად ტყეში წავიდნენ! შინ არავინ არის... ოჰ, რა ცუდად ვარ... წყალი... წყალი...

პოპოვა — *(სმირნოვს)* ახლავე გაეთრიეთ აქედან!

სმირნოვი — ხომ არ ინებებთ და უფრო ზრდილობიანად ხომ ვერ მომმართავთ?

პოპოვა — *(მუშტებაღმართული ფეხებს აბაკუნებს)* რა გაუთლელი ყოფილხართ?! ხეპრე! ტყის დათვი! გრიზლი! დაბალი გვარის! ურჩხული! ბურბონი!

სმირნოვი — რაო? რა ბრძანეთ?

პოპოვა — დათვი ხართ-მეთქი, დათვი, ურჩხული!

სმირნოვი — *(უტევს)* რა უფლებით მაყენებთ შეურაცხყოფას??!

პოპოვა — შეურაცხგყოფთ და მეტსაც ვიზამ! თუ გგონიათ, თქვენი მეშინია?

სმირნოვი — რადგანაც თავი პოეტურ ქმნილებად მიგაჩნიათ, ნუთუ გგონიათ, ნება გქონდეთ, ყველა დაუსჯელად ლანძღოთ? ბარიერთან! ბარიერთან გავსწორდეთ!

ლუკა — ო, მამაო, ღმერთო ზეციერო, მიშველე! წყალი! წყალი!

სმირნოვი — ბარიერთან! ტყვიამ გაგვასამართლოს!

პოპოვა — რახან დიდი მუშტები და ხარივით ხმა გაქვთ, გგონიათ, შემაშინებთ? ვერ მოგართვით, ურჩხულო, დათვო!

სმირნოვი — ბარიერთან! შეურაცხყოფის უფლებას არავის მივცემ თუნდაც ქალი იყოს, სუსტი არსება!

პოპოვა — *(ცდილობს დაფაროს მისი ხმა)* დათვო! დათვო! დათვო!

სმირნოვი — დროა, უარვყოთ აზრი, რომ მხოლოდ მამაკაცია ვალდებული, შეურაცხყოფისთვის პასუხი აგოს! თუ თანასწორობაა, თანასწორობა იყოს! ბარიერთან, ეშმაკმა დალახვროს!!

პოპოვა — დუელში მიწვევთ!

სმირნოვი — ახლავე! ამ წუთშივე!

პოპოვა — სიამოვნებით! ჩემს საყვარელ ქმარს დამბაჩები დარჩა. ახლავე მოვიტან*! (მიდის და უმალ ბრუნდება)* რომ იცოდეთ, რა სიამოვნებით გაგიხვრეტთ მაგ კლდესავით პიტალო და მაგარ შუბლს, ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი! *(მიდის)*

სმირნოვი — წიწილასავით მოვუსპობ სიცოცხლეს! არც ბავშვი ვარ და არც სანტიმენტალური ლეკვი. ჩემთვის სუსტი ქმნილება არ არსებობს!

ლუკა — ბატონო, შენი მუხლების ჭირიმე... *(უჩოქებს)* ჰქენი სიკეთე და წადი აქედან. შემიბრალე მოხუცი. ისე შემაშინე, კინაღამ გავთავდი და ახლა სროლაც გინდა აგვიტეხო?

სმირნოვი — *(ყურს არ უგდებს)* დუელი! აი, თანასწორობა და ემანსიპაცია! რა შუაშია აქ სქესი? პრინციპის გულისთვის ვესვრი! მაგრამ მაგარი ქალი კი ყოფილა! *(აჯავრებს)* „ეშმაკმა წაგიღოთ... სიამოვნებით გაგიხვრეტთ პიტალო შუბლს“... როგორია? სახე აუფერადდა, თვალები გაუბრწყინდა, აუგიზგიზდა.... გამოწვევაც რომ მიიღო?! სინდისს ვფიცავ, ასეთ ქალს პირველად შევხვდი...

ლუკა — ღვთის გულისათვის, წადით აქედან! სიკვდილამდე თქვენთვის ვილოცებ.

სმირნოვი — ქალიც ესა ყოფილა! აი, ეს მესმის! ნამდვილი, ნაღდი ქალია, დონდღლო და დოყლაპია კი არა! ცეცხლია, დენთი, რაკეტა! სასიკვდილოდ ვეღარ გამიმეტებია.

ლუკა — *(ტირის)* რას გვერჩი, ჩემო კარგო მამიკო? დაგვტოვე! წადი! წადი!

სმირნოვი — არა და... ეს ქალი მართლა მომწონს! მართლა, მართლა, ნაღდად! მართალია, ლოყები ეჩხვლიტება, მაგრამ მაინც მომწონს. ვალსაც კი ვაპატიებდი... სიბრაზემაც გამიარა... აღარც გული მომდის... საოცარი ქალია!

X

პოპოვა — *(შემოდის. დამბაჩები შემოაქვს)* აი, დამბაჩები. მაგრამ ვიდრე შევებრძოლებით, გთხოვთ, ამიხსნათ, სროლა როგორ უნდა. დამბაჩა ჩემ სიცოცხლეში არა მჭერია.

ლუკა — ღმერთო, გვიშველე და შეგვიწყალე... წავალ, მებაღესა და მეეტლეს დავუძახებ... ეს რა ღვთის რისხვა დაგვატყდა თავს... *(ვადის)*

სმირნოვი — მოგეხსენებათ, რამდენიმე სახის დამბაჩა არსებობს. არის სპეციალური სადუელო დამბაჩა მორტიმერისა, კაფსულებიანი. ეს კი სმიტისა და ვესონის სისტემის იარაღია ცენტრალური ჩახმახის ექსტრაქტორის სამმაგი მოქმედებით... მშვენიერი დამბაჩებია! წყვილი ცხრა თუმანი მაინც ეღირება. იარაღი კი ასე უნდა დაიჭიროთ... *(ვანზე)* თვალები, ო, რა თვალები აქვს! თვითონ კი ცეცხლია, ცეცხლი! მკვდარს გააცოცხლებს!

პოპოვა — ასე?

სმირნოვი — დიახ. შემდეგ ჩახმახს შემართავთ, აი, ასე დამიმიზნებთ... თავი ოდნავ უკან! ხელი გამართეთ, გამართეთ! აი, ასე... შემდეგ აი, ამ თითით გამოსწევთ აი, ამ სასხლეტს და ეგ არის. მთავარია, არ აღელდეთ, არ იჩქაროთ და დინჯად დაუმიზნოთ. ეცადეთ, ხელი არ აგიკანკალდეთ.

პოპოვა — გავიგე, საკმარისია. აქ სროლა უხერხულია. ბაღში გავიდეთ.

სმირნოვი — კი, ბატონო, გავიდეთ, ოღონდ გაფრთხილებთ: მე ჰაერში ვისვრი!!

პოპოვა — ეგღა გვაკლდა! კი, მაგრამ რატომ?

სმირნოვი — იმიტომ... იმიტომ, რომ... ეგ ჩემი საქმეა!

პოპოვა — შეშინდით? შეგეშინდათ, არა? არა, ჩემო ბატონო, აღარაფერი გამოგივათ. კეთილი ინებეთ და გამომყევით. ვერ მოვისვენებ, ვიდრე მაგ პიტალო შუბლს არ გაგიხვრეტთ; დიახ, მაგ შუბლს, რომელიც აგრე რიგად მეჯავრება. შეგეშინდათ და ეგ არის!

სმირნოვი — დიახ, მართლაც შევშინდი.

პოპოვა — ცრუობთ. აჯობებს, გამოტყდეთ, სროლა რატომ არ გინდათ?

სმირნოვი — იმიტომ... იმიტომ, რომ... მომწონხართ!

პოპოვა — *(მწარე სიცილით)* რაო? თურმე ვაჟბატონს მოვწონვარ... მომწონხართო, ამის თქმას როგორ მიბედავთ?! *(კარზე უთითებს)* შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

სმირნოვი — *(დამბაჩას ჩუმად დადებს, ქუდს ხელს მოავლებს, მიდის. კართან შედგება, ერთხანს თვალებში შესცქერიან ერთმანეთს. მერე გაუბედავად მიუახლოვდება პოპოვას)* თუ შეიძლება, მომისმინეთ: ხომ ისევ ბრაზობთ? ცხადია, ბრაზობთ! მეც ლამის არის გავგიჟდე, მაგრამ საქმე ის არის... როგორ გითხრათ... ერთი სიტყვით, ამისთანა რამე არასოდეს დამმართნია... *(ყვირილით)* რა ჩემი ბრალია, რომ მომწონხართ? *(სკამს ხელს დაავლებს. სკამი ხელში შემოემტვრევა)* ჯანდაბა! რა მსხვრევადი და სუსტი ავეჯია! მე თქვენ... მომწონხართ! გესმით? მომწონხართ! თითქმის, მიყვარხართ!

პოპოვა — ცოტა განზე დადექით... მეზიზღებით!

სმირნოვი — ღმერთო, რა ქალია! ასეთი ქალი სიცოცხლეში არ შემხვედრია! დავიღუპე და ეგ არის! ხაფანგში გავები... თაგვივით!..

პოპოვა — მომცილდით, თორემ გესვრით!

სმირნოვი — მესროლეთ! ვერც კი წარმოიდგენთ, რა ბედნიერებაა ასეთ მშვენიერ, საოცარ თვალთა წინ მოკვდინება. თქვენ ვერც კი გაიგებთ, რა სიხარულია მოკვდე იმ ტყვიით, რომელიც ასეთმა პატარა, ხავერდოვანმა ხელმა გესროლა. გავგიჟდი, თქვენ გამაგიჟეთ! მოიფიქრეთ და ახლავე გადაწყვიტეთ და გამომიტანეთ განაჩენი, თორემ აქედან თუ გავედი, ვეღარასოდეს მნახავთ... გადაწყვიტეთ. აზნაური ვარ, წესიერი კაცი, წლიური შემოსავალი — ათი ათასი. ტყვიას ტყვიაში ვაჯენ. შესანიშნავი ცხენების რემა მყავს... ცოლად გამომყევით, რა!

პოპოვა — *(აღშფოთებული დამბაჩას იქნევს)* ბარიერთან! ტყვიამ გადაწყვიტოს...

სმირნოვი — აღარაფერი მესმის... ალბათ, გავგიჟდი! *(ყვირის)* არავინა ხართ? წყალი, წყალი მომიტანეთ!

პოპოვა — *(ყვირილით)* ბარიერთან!

სმირნოვი — გავგიჟდი! სიყვარულმა ბალღივით ჭკუა დამაკარგვინა! *(პოპოვას ხელს ჩასჭიდებს. ქალი ტკივილისაგან შეჰკივლებს)*

მიყვარხართ! *(იჩოქებს)* ისე მიყვარხართ, როგორც არავინ არასდროს მყვარებია! თორმეტი ქალი მივატოვე, ცხრამ თვითონ დამტოვა, მაგრამ არცერთი მათგანი ისე არ მიყვარდა, როგორც თქვენ! შემხედეთ, რას ვგავარ: დავლბი, დავტკბი, დავდნი... სულელივით მუხლებზე ვდგავარ და ხელსა გთხოვთ. ხუთი წელია არავინ მყვარებია, საკუთარ თავს აღთქმა მივეცი... და ოი, სირცხვილო, მოულოდნელად დაკარგული ხარივით სხვის უღელში გავები. ხელსა გთხოვთ! ცოლად გამომყვებით, თუ არა? არა? არ გინდათ და ნუ გინდათ! *(დგება, კარისკენ მიქრის)*

პოპოვა — მოიცათ...

სმირნოვი — *(შეჩერდა)* რას მიბრძანებთ?

პოპოვა — არაფერს... მიბრძანდით, მიბრძანდით... თუმცა არა, მოიცადეთ... არა, არა, წადით! მეზიზღებით! თუმცა... ნუ წახვალთ... რომ იცოდეთ, რა გაბრაზებული ვარ... *(დამბაჩა მაგიდაზე დაავდო)* ხელი დამიბუჟა ამ საზიზღარმა რკინამ! *(ბრაზით ცხვირსახოცს გლეჯს)* რას უდგეხართ? გაეთრიეთ აქედან!

სმირნოვი — მშვიდობით!

პოპოვა — წადით, წადით! *(ყვირის)* სად მიდიხართ? შეჩერდით. თუმცა წადით, მიბრძანდით! რა გაბრაზებული ვარ! არ მომეკაროთ! არ მომეკაროთ!

სმირნოვი — *(მიუახლოვდა)* გაბრაზებული აქ მე ვარ. გიმნაზისტივით სიყვარულის მახეში გავები, მუხლებზე დავიჩოქე. ამის გახსენებაზე ჟრუანტელი მივლის. *(უხეშად)* მიყვარხართ! რა თავში ვიხლი თქვენს სიყვარულს, ხვალ პროცენტები უნდა შევიტანო! მერე თიბვაც იწყება. თქვენი თავი მაქვს? *(მოეხვევა)* ამას ჩემს თავს არასოდეს ვაპატიებ.

პოპოვა — ხელი! ხელი არ მახლოთ! მომცილდით! მეზიზღებით! ბარიერთან! *(ხანგრძლივი კოცნა)*

XI

(შემოდიან ნაჯახიანი ლუკა — ფოცხიანი მებაღე, სხვა „შეიარაღებული“ ყმები)

ლუკა — *(ჩახუტებულთა დანახვაზე)* ო, ღმერთო ჩემო!

პოპოვა — ლუკა, საჯინიბოში უთხარი, ტობის დღეს საერთოდ აღარ მისცენ შვრია.

ფარდა